საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN15

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

10 ნოემბერი 2022წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6. ნატალია ასათიანი, 7.იზა მაგრაქველიძე; 8. გიორგი ბარათაშვილი ; 9. დავით ცხადაძე;

სხდომას არ ესწრებოდა: რუსუდან კოვზირიძე;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, საკრებულოს სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში გულადი აბჟანდაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 10 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 9 წევრი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ " თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის №გ-29.29213418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ " თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის №გ-29.29213419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას აცნობა, რომ იურიდიულ საკითხთა კომისიას განსახილველად და რეაგირებისათვის დაეწერა საკრებულოს წევრის ამირან ვერულაშვილის განცხადება (N19/29223142-29, 10.11.20222), სადაც ის გამოთქვამს სურვილს გაწევრიანდეს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში.

მომხსენებელმა კომისიას წარუდგინა საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ " თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის №გ-29.29213418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

წარდგენილი განკარგულების პროექტით კომისიის პერსონალური შემადგენლობა ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ განკარგულების პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

წარედგინოს საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ " თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის №გ-29.29213418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი;

2. მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას აცნობა მეორე განცხადების თაობაზე, რომელიც იურიდიულ საკითხთა კომისიას განსახილველად და რეაგირებისათვის დაეწერა საკრებულოს წევრის ომარ ჯიხვაშვილის განცხადება (N19/29223141-29, 10.11.20222), სადაც ის გამოთქვამს სურვილს გამოვიდეს საკრებულოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობიდან.

მომხსენებელმა კომისიას წარუდგინა საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ " თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის №გ-29.29213419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

წარდგენილი განკარგულების პროექტით კომისიის პერსონალური შემადგენლობა ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ განკარგულების პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

წარედგინოს საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ " თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის №გ-29.29213419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: